



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორის ბრძანება

N 67/01-01
25/03/2020

67-01-01-4-202003251630



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ

ახალი კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, პრემიერ-მინისტრის ხელძღვანელობით შექმნილი მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება სასწავლო პროცესების მართვის მიზნით შეიმუშაოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებისა და მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (დანართი №1).
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის (გარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული სტუდენტის) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვის წესს, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის (შემდგომში - „პერსონალი“) ერთდროულად ყოფნას.
2. ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის სტუდენტთან ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისათვის და სხვა მიზნებისათვის.
3. ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას, ხოლო სინქრონული-როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება.
4. ელექტრონული სწავლების პროგრამა აგებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მისი დამღვევის შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 2. ელექტრონულ პლატფორმებზე სასწავლო კომპონენტის ამოქმედება

1. უნივერსიტეტში ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული შეიძლება იყოს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა LMS და სასწავლო პლატფორმა Moodle.
2. ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული შეიძლება იყოს ონლაინ პლატფორმა zoom.
3. ელექტრონული სწავლების ასინქრონული და სინქრონული კომუნიკაციისათვის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული შეიძლება იყოს ონლაინ პლატფორმები Meet და Classroom.

მუხლი 3. პროცესის დაგეგმვა ელექტრონული სწავლებისათვის

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტები პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავენ ელექტრონული სწავლების ფორმატს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

შეთანხმებით ქმნიან საფაკულტეტო კონცეფციას, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და შემდგომ აკადემიურ საბჭოს.¹

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირება

1. სასწავლო პროცესებში ელექტრონული კომპონენტების გამოყენების კოორდინირების მიზნით ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით იქმნება ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი.
2. ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის საქმიანობა განისაზღვროს:
 - ა) ელექტრონული სწავლების პროცესის უწყვეტი გეგმის შემუშავება, რაც გულისხმობს მომდევნო კვირის სასწავლო მასალების არაუგვიანეს მიმდინარე კვირის დასასრულს ატვირთვას;
 - ბ) სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის უზრუნველყოფა;
 - გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის ტექნიკურ საკითხებში კონსულტაციის გაწევა;
 - დ) ელექტრონული სწავლებისთვის შემუშავებული მასალის დაარქივების პროცესში აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება;
 - ე) ელექტრონული სწავლების განხორციელების მონიტორინგი (ასინქრონული სწავლებისთვის თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა LMS და სასწავლო პლატფორმაზე Moodle ატვირთული მასალების, ბმულების და სხვა განხორციელებული აქტივობის პერიოდული შემოწმება. სინქრონული სწავლების შემთხვევაში - წვდომა მიმდინარე ლექციებზე.) და შედეგების პერიოდული წარდგენა ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის.

მუხლი 5. სტუდენტის უფლებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
 - ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
 - გ) უნივერსიტეტის წინაშე ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ სწავლების პროცესში და ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია.
 - დ) გონივრულ ვადაში აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას ელექტრონული სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების შესახებ.

მუხლი 6. პროფესორის უფლებები

უნივერსიტეტის პროფესორს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
- ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია ფაკულტეტზე შექმნილი ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფისგან;
- გ) მიიღოს ზუსტი ინფორმაცია სასწავლო განრიგის მიხედვით გამოცხადებული მის სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების შესახებ;

¹კონცეფცია შეიძლება წარმოდგენილი იქნას პროექტის სახით დეკანის მიერ.

დ) სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის დამატებით სხვა ფორმების გამოყენებაც.

მუხლი 7. პროფესორის ვალდებულებები

პროფესორი ვალდებულია:

- ა) უნივერსიტეტის წინაშე ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს სწავლების ელექტრონული კომპონენტის (როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული) დანერგვის პროცესში;
- ბ) უზრუნველყოს სასწავლო კურსის ელექტრონული სასწავლო მასალების (ლექციის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი ან ტექსტური მასალა ან power point პრეზენტაცია ხმით ან ხმის გარეშე და საკითხავი ლიტერატურა, ტექსტური, აუდიო ან ვიდეო მასალა, დავალებები და სხვ.) მომზადება;
- გ) უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სტუდენტთა ცოდნის შემოწმება-შეფასება ელექტრონული ფორმით;
- დ) სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების შემთხვევაში შეატყობინოს ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფს;
- ე) შექმნას პროფილი/ანგარიში, იმ შემთხვევაში, თუ პროფესორი ხელმძღვანელობს საკვალიფიკაციო (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომს, სადაც აისახება საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესი.